საქართველოდან გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულისა და ბლანშირებული ნუშის გულის ექსპორტის მსურველი ბიზნესოპერატორების საყურადღებოდ!

2022 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის N618 დადგენილებით დამტკიცებული „ნუშის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომელიც ვრცელდება იმ ბიზნესოპერატორზე, რომელიც ახორციელებს გაუტეხავი ნუშის/ნუში ნაჭუჭით/ნუში ენდოკარპით, ნუშის გულის (რომელსაც მოცილებული აქვს ეგზოკარპი და ენდოკარპი) და ბლანშირებული/კანგაცლილი ნუშის გულის ექსპორტს.

- **<u>ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების ობიექტებია</u> ექსპორტისათვის განკუთვნილი:**

✓ გაუტეხავი ნუში, რომელიც განკუთვნილია პირდაპირი მოხმარების ან სხვა სურსათში შერევისათვის, გამოიყენება სურსათად შემდგომი საწარმოო გადამუშავების გარეშე;

✓ ნუშის გული, რომელიც არ წარმოადგენს ბლანშირებულ ნუშის გულს, ნახევარგულს, გულის ნაწილებს, ნამცეცებს, ნატეხებს, ნაჭრებს, ან/და არ დაექვემდებარა დამარილებას, დაშაქვრას, მოხალვას ან სხვა სახის დამუშავებას;

✓ ბლანშირებული ნუშის გული, ანუ ნუშის მთლიანი ნაყოფი, რომელსაც მოცლილი აქვს კანი, განკუთვნილია პირდაპირი მოხმარებისათვის ან სხვა სურსათში შერევისათვის, გამოიყენება შემდგომი გადამუშავების გარეშე ან/და არ დაექვემდებარა დამარილებას, დაშაქვრას, მოხალვას, არომატიზებას ან სხვა სახის დამუშავებას.

- **ტექნიკური რეგლამენტი ადგენს:**

✓ ტერმინთა განმარტებებს;

✓ მოთხოვნებს გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის უვნებლობის და ხარისხის მიმართ;

✓ ჰიგიენის მოთხოვნებს ბიზნესოპერატორის მიმართ;

✓ გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის შესაბამისობის შეფასების პროცედურებს.

- **მოთხოვნები ბიზნესოპერატორის მიმართ**

✓ ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ნუშის წარმოებასთან (მათ შორის, პირველად წარმოებასთან), გადამუშავებასთან, ან/და დისტრიბუციასთან და ექსპორტთან, ვალდებულია, დაიცვას ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის

ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

შესაძლებელია ბიზნესოპერატორმა გამოიყენოს ამ წესისაგან განსხვავებული წესი იმ შემთხვევაში, თუ დაასაბუთებს მის მიერ გამოყენებული განსხვავებული წესით ზოგადი ჰიგიენური მოთხოვნების უზრუნველყოფას;

- ✓ **ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს ექსპორტისთვის განკუთვნილი ნუშის დამზადებას, ვალდებულია დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP – Hazzard Analysis and Critical Control Points) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად.**

შესაბამისობის კონტროლი

ექსპორტისათვის განკუთვნილი გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლის დროს;
- ✓ ბიზნესოპერატორი შიდა საწარმოო კონტროლის დროს შესაბამისობის შეფასებისას.

გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის შესაბამისობის შეფასებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ნიმუშის აღება ხდება პარტიიდან.

პარტიად მიიჩნევა ერთი და იმავე ან სხვადასხვა ჯგუფის, კლასის, ზომის, მოსავლის აღების წლის, ერთი სახეობის და ზომის ტარაში შეფუთული ნებისმიერი რაოდენობის პროდუქტი - გაუტეხავი ნუში, ნუშის გული და ბლანშირებული ნუშის გული ერთ სატრანსპორტო ერთეულში, რომელსაც თან ახლავს ერთი შესაბამისობის დეკლარაცია და მისი შეფასების ერთეულს წარმოადგენს დიდი ზომის შეფუთვა.

ერთ ერთეულად ითვლება დიდი ზომის შეფუთვა, რომელიც შედგება მცირე ზომის შეფუთული ერთეულებისაგან.

<u>გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის ექსპორტისას:</u>

- ✓ **ბიზნესოპერატორი ვალდებულია, პარტიის ფორმირების დასრულების შემდეგ განახორციელოს შესაბამისობის შეფასების პროცედურები;**

- ✓ **ბიზნესოპერატორმა უნდა მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს და სააგენტოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით აიღოს ნიმუში ლაბორატორიული კვლევისთვის;**
- ✓ **ნიმუშის აღების დასრულებისთანავე სააგენტო ლუქავს დიდი ზომის შეფუთვას** *(სააგენტოს მიერ დადებული ლუქის ახსნას და შეცვლას, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს სააგენტო ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახური);*
- ✓ **ბიზნესოპერატორმა ლაბორატორიული კვლევის შედეგები უნდა წარუდგინოს სააგენტოს;**
- ✓ **საჭიროების შემთხვევაში, ნიმუში რეფერენტული გამოცდისათვის აღებული უნდა იქნეს სააგენტოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით და შეინახოს პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გასვლამდე;**
- ✓ გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის ექსპორტისათვის ბიზნესოპერატორი ვალდებულია, სააგენტოში წარადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია (დანართი №1-ის „შესაბამისობის დეკლარაცია“ მიხედვით) და შიდა კონტროლის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რითაც დასტურდება პროდუქციის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან.
- ✓ სააგენტო ვალდებულია, ბიზნესოპერატორის მიერ დანართი №1-ით განსაზღვრული „შესაბამისობის დეკლარაციის“ წარდგენიდან არა უმეტეს 48 საათის განმავლობაში შეაფასოს „შესაბამისობის დეკლარაციაში“ მითითებული ინფორმაციის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
- ✓ **შემოსავლების სამსახური საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბაჟო პროცედურებს ახორციელებს სააგენტოს მიერ „შესაბამისობის დეკლარაციის“ ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში.**

- <u>სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განსაზღვრული ლაბორატორიული კვლევისთვის საექსპორტო ნუშის მაჩვენებლები</u>
- ✓ **სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით აღებული საექსპორტო გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის ნიმუშის/ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა უნდა განხორციელდეს B1 აფლატოქსინზე და B1, B2, G1 და G2 აფლატოქსინების საერთო რაოდენობაზე (ჯამი);**

- ✓ სხვა საფრთხესთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, გარდა აფლატოქსინებისა, ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა განხორციელდეს სააგენტოს მიერ მითითებულ სხვა მაჩვენებლებზეც.

- <u>ნიმუშის/ნიმუშების აღების სიხშირე</u>

- ✓ გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის B1 აფლატოქსინზე და B1, B2, G1 და G2 აფლატოქსინების საერთო რაოდენობაზე (ჯამი) ნიმუშის აღების სიხშირე <u>განისაზღვრება ბიზნესოპერატორის შეფასებით, გარდა ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტისა;</u>
- ✓ <u>ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის შემთხვევაში,</u> გაუტეხავი ნუშის, ნუშის გულის და ბლანშირებული ნუშის გულის B1 აფლატოქსინზე და B1, B2, G1 და G2 აფლატოქსინების საერთო რაოდენობაზე (ჯამი) განსაზღვრისათვის ნიმუში აღებული უნდა იქნეს <u>ყოველი საექსპორტო პარტიიდან.</u>

ბიზნესოპერატორების შეფასება განხორციელდება 2022 წლის 1 ივნისიდან, უფლებამოსილი პირების მიერ, სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად.